საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 2031 2019 წლის 23 სექტემბერი ქ. თბილისი

ნ. ენუქიძისა და მ. ზავრაშვილის საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტზე მომხსენებლებად დანიშვნის შესახებ

„საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ საქართველოს კანონის პროექტზე - „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ნინო ენუქიძე, ხოლო საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო სხდომებზე მომხსენებლად

ასევე დაინიშნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - წიაღის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე მაია ზავრაშვილი.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**